ოქმი:**ო12. 3723360001**

თარიღი:**26/12/2023**

ოქმი N 21

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 26 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
10.00-10.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, ს. ქარცივაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიმდინარე წლის შესაბამის დადგენილებაში მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შეტანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, პროექტში არსებობდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელზედაც იმსჯელა კომისიის სამუშაო ჯგუფმა და წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას პროექტის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენის შემდეგ კომისია განიხილავს და მოამზადებს დასკვნას. მუნიციპალიტეტის მერიამ შენიშვნების შესაბამისად საკრებულოში წარმოადგინა კორექტირებული ვერსია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი